სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98082437772012

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120245224

რეგისტრაციის თარიღი

15.03.2012 წ

ნოტარიუსი: ნინო უბერი
მისამართი: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის ქ. #4
ტელეფონი: (995 32) 231 23 11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თორმეტი წლის თხუთმეტ მარტს, მე, ნინო შბერს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის №4, მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: ქალბატონმა **ეკატერინე პაპავაძემ.**

მან, როგორც შპს **„P.E.K“-ს დირექტორმა,** განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს: **ომარ ჯანჯღავას.**

ეკატერინე პაპავაძემ მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა

მე შევამოწმე **ეკატერინე პაპავაძის** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მე შევამოწმე **ეკატერინე პაპავაძის,** როგორც შპს **„P.E.K“-ს** *(რეგისტრირებული 29/06/2011 საიდენტიფიკაციო კოდი: 404902584. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქ. №8, ბინა №24)* **დირექტორის** უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.** *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. განაცხადის №313760. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11086528. ამონაწერის მომზადების თარიღი: 29/06/2011.*

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

მინდობილობა

ორიათას თორმეტი წლის თხუთმეტ მარტს, ეკატერინე პაპავაძემ (დაბადებული 06.02.1972წ. საქართველოში. ამერიკის მოქალაქის პასპორტი 479576088, გაცემული 05.04.2011წ. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. მისამართი: ქ. თბილისი, ფანასკერტელის №16 კორპუსი, ბინა №45) – **შპს „P.E.K“-ს დირექტორი,** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი“, **ომარ ჯანჯღავას** (დაბადებული 02.04.1978წ. თბილისში. პირადი №01017001635. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, იაკ. ნიკოლაძის №7), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი“ მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი

მინდობილი *(როგორც შპს* **„P.E.K“-ს** *წარმომადგენელი)* **უფლებამოსილია მიმნდობის, როგორც შპს-ს „P.E.K“-ს** *(საიდენტიფიკაციო კოდი: 404902584)* **დირექტორის სახელით:**

1. **წარმოადგინოს შპს და მისი დირექტორი შესაბამის სამსახურებში, მათ შორის, ქ. თბილისის** მერიაში და მის დაქვემდებარებულ სამსახურებში *(არქიტექტურის საქალაქო სამსახური და სხვა),* სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში შპს-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების/ქონებების მდებარე მისამართზე: **ქ. თბილისი, ღვინის აღმართისა და დუტუ მეგრელის ქუჩების ბადაკვეთაზე** *(ევროპის მოედანზე – მათ შორის: 1. ქონება მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით №01.17.01.090.030; 2. ქონება მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით: №01.17.01.090.026)* არსებული პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით, ასევე, შეიტანოს ახალი პროექტი შესაბამის სამსახურში ნებისმიერ განხილვაში მონაწილეობის მიღებისა და სხვა საჭირო მოქმედებების შესრულების უფლებით.
2. **აღნიშნული დავალებების განხორციელების მიზნით მინდობილი უფლებამოსილია გადაიხადოს დაწესებული გადასახადები, ჩააბაროს/შეკრიბოს (მოიპოვოს, გამოითხოვოს, დაამზადოს, შეადგინოს და სხვ.) ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მათ (შპს-ს და მისი დირექტორის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების, წილის განკარგვის გარდა).**

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა

წინამდებარე აქტი მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აქტის ეგზემპლარები და დანართი

წინამდებარე აქტი შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

- **შპს „P.E.K“-ს** წესდების სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (თარიღი: 15.06.2011წ. შტამპი №236) დამოწმებული ასლი. ელექტრონული ასლი განთავსებულია საჯარო რეესტრის სამეწარმეო რეესტრის ვებ-გვერდზე;

- **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.** *საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. განაცხადის №313760. განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11086528. ამონაწერის მომზადების თარიღი: 29/06/2011. ელექტრონული ასლი განთავსებულია საჯარო რეესტრის სამეწარმეო რეესტრის ვებ-გვერდზე.*

სანოტარო მომსახურების ხარჯები:

გადახდილია სანოტარო საზღაური 10 (ათი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი – ჯამში 12 (თორმეტი) ლარი, თანახმად, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებისა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლები.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მიმნდობი: შპს „P.E.K“-ს დირექტორი:

სახელი, გვარი ეკატერინე პაპავაძე

ეკატერინე პაპავაძე

ნოტარიუსი ნინო უბერი



